ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N15

ქ.თბილისი 6 მარტი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე	ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი	ბექა დავითულიანი
მარინა დათუკიშვილი	ლევან დარახველიძე
გიორგი დოხტურიშვილი	ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ირაკლი ზარქუა	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	ლილე ლიპარტელიანი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
ირაკლი ნადირაძე	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ელენე ოზაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო ჟღენტი
თამარ ტალიაშვილი	რევაზ სოხაძე
ვახტანგ შაქარიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე	დავით ჭელიძე
ვლადიმერ ძნელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მალხაზ ჭამპურიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძისთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მალხაზ ჭამპურიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: სოფიო ხუნწარია

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ.N18ᵇ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის“ (ს/ნ.: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ.: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

16. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

17. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

18. „ქ.თბილისში, ვაკის რაიოში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

19. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

20. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

21. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

22. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

23. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძისთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

მარინა დათუკიშვილის თქმით, ძალიან სამწუხარო პროცესები მიმდინარობს თბილისის და ზოგადად, საქართველოს თვითმმართველობებში და განაცხადა, რომ არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენებასთან დაკავშირებით გამართული მიტინგების ფონზე, ბორჯომის საკრებულოში, ხელისუფლების წარმომადგენლები, ხელფასების გაორმაგების მოთხოვნით, მართავდნენ მიტინგებს, ხოლო თბილისის საკრებულოს წევრის საქციელი არც ოპოზიციის და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს მატებს ღირსებას. აქედან გამომდინარე ისურვა, რომ საკრებულოს თითოეული წევრი იყოს ყურადღებით, რომ საკრებულო კიდევ ერთხელ არ გახდეს „სირცხვილის ობიექტი“ და დაინტერესდა, თემურ გორგაძესთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებისთვის ხომ არ არის ცნობილი იმაზე მეტი ინფორმაცია, რაც გაჟღერდა ტელევიზიით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში წარმოდგენილია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად თემურ გორგაძეს შეეფარდა აღმკვეთი ღონისძიება და საკრებულოს წევრებისთვის ცნობილია მხოლოდ სასამართლოს განჩინებაში მითითებული ინფორმაცია. რაც შეეხება ზოგადად ფაქტს, განაცხადა, რომ მომხდარი ნამდვილად არავის უხარია და უნდა აღინიშნოს, რომ კანონთან მიმართებაში, სტატუსის და პოლიტიკური ნიშნის განურჩევლად, ყველა თანასწორია და ისურვა, რომ აღარასდროს განმეორდეს ანალოგიური ფაქტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძისთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მალხაზ ჭამპურიძემ და განმარტა, რომ პროექტი ხორციელდება თანადაფინანსებით, გრანტის თანხა შეადგენს 490000 ევროს, ხოლო 300000 ევროს ოდენობით თანხა გათვალისწინებულია თბილისის ბიუჯეტში. დედაქალაქში შემუშავებული იქნება ახალი სამარშრუტო სქემა და ასევე, ინტეგრირებული გადახდის სისტემა, როგორც კერძო, ასევე მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ სოფიო ხუნწარიამ და განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, თბილისის ბიბლიოთეკები არის კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა მრავალი წელია ფინანსდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან და აქედან გამომდინარე, აუცილებელია მიეცეს სწორი სამართლებრივი ფორმა და მუნიციპალიტეტში დაფუძნდეს ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სადაც მოხდება, როგორც ბიბლიოთეკების, ასევე მედიათეკების გაერთიანება. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების თანამშრომლებს ჩაუტარდებათ გადამზადება და ტესტირება, რის შემდეგაც მოხდება მათი აყვანა სამსახურში.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იყო კომისიის სხდომაზე, თუმცა, მისი თქმით, ეს არ იყო კონცეფცია, რადგან წარმოდგენილი არ ყოფილა კონკრეტული ნაბიჯები, ფაზები და საჭირო ბიუჯეტი. განაცხადა, რომ მღელვარება დიდია დაინტერესებულ საზოგადოებასა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებში, რადგან არავინ იცის რა იქნება მომავალში და ითხოვა, რომ კულტურის სამსახურმა განხილვები მოაწყოს ბიბლიოთეკარებთან, ამ დარგის ექსპერტებთან, მოიშველიოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, რათა თბილისის ბიბლიოთეკების მდგომარეობა უკუსვლის ნაცვლად, წავიდეს წინ.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, მკითხველთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ფიზიკურად დაიცავენ ბიბლიოთეკებს და დაინტერესდა რამდენი ბიბლიოთეკა დარჩება. ბიბლიოთეკები,

რომლებიც საჭიროებენ რემონტს, გადავა კერძო მფლობელობაში თუ ჩაუტარდებათ შესაბამისი სამუშაოები და შეუნარჩუნდებათ ბიბლიოთეკების ფუნქცია, რა იგეგმება გორგასლის ქ.N37-ში არსებულ 21-ე ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, სადაც ყველაფერი მზად არის იმისთვის, რომ იქ არსებული ლიტერატურა გადატანილი იქნას ზემო ფონიჭალაში.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან, ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი არის „პოლიტიკური ფანდი", რადგან დღეს კითხვები უნდა ისმოდეს სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების მისამართით. მაგალითად, „როგორ მოხდა, რომ თქვენ ჩაიბარეთ 74 ბიბლიოთეკა, ხოლო 2014 წელს მისი განახევრებული რაოდენობა გადმოგვაბარეთ ჩვენ", რომელთა დიდ ნაწილში სივრცეები ისე იყო შეკვეცილი, რომ გაერთიანებული იყო საცავი და სამკითხველო დარბაზი; „რას ერჩოდით ბიბლიოთეკებს" და სხვა. თამარ ტალიაშვილის თქმით, დღეს ბიბლიოთეკები საჭიროებს მოდერნიზაციას და წარმოდგენილი კონცეფცია მისასალმებელია.

დათო ჟღენტი დაინტერესდა იგეგმება თუ არა ბიბლიოთეკებში საშტატო ერთეულების შემცირება და რატომ იქნება უფრო ეფექტური და უკეთესი, რომ ბიბლიოთეკები გადავა მერიის დაქვემდებარებაში.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ საუბარია ბიბლიოთეკების მოდერნიზებაზე, რომ გახდეს მიმზიდველი ახალგაზრდობისთვის, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მიეცემათ გადამზადების საშუალება, ბიბლიოთეკების რაოდენობა არა თუ შემცირდება, არამედ გაიზრდება, რადგან თბილისის ათივე რაიონში დაგეგმილია მულტიფუნქციური ცენტრების მოწყობა, სადაც გამოყოფილი იქნება სამკითხველო ადგილები.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ კითხვები არ დაუსვამს ირაკლი ზარქუასთვის და თამარ ტალიაშვილისთვის, შესაბამისად, პასუხს ელოდება არა მათგან, არამედ სოფიო ხუნწარიასგან და მიმართა მათ „ისევ წარსულზე და წარსულის შეფასებებზე გადადიხართ... კონკრეტული კითხვები გადაგყავთ პოლიტიკურ ფარსში".

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ წარსულის შეხსებებს, „უკან ყურებას და ლაქების თვალიერებას", მომავალზე ფიქრი ჯობს, მით უმეტეს მათი მხრიდან, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა და აღნიშნა, რომ „ბიბლიოთეკების ოპტიმიზაცია ჩვენ დროს დაიწყო, სოლიდური ბიუჯეტი პირველად მაშინ გამოიყო და პირველი პრეცედენტები წელში გამართული ბიბლიოთეკების და მედიათეკების მაშინ გაკეთდა". ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, ხელისუფლებამ, ექვსი წლის თავზე, უნდა იცოდეს, რამდენი ბიბლიოთეკა სჭირდება თბილისს, ბიბლიოთეკებში შეყვანილი უნდა იყოს ციფრული სისტემები და ბიბლიოთეკარებს ხელფასი არ უნდა ჰქონდეთ 120 ლარი.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხი, რომელიც ეხება წიგნიერებას, განვითარებას და ცივილიზაციას, უხერხულია კოლეგების მხრიდან კარნახი, თუ როგორი ფორმულირება უნდა ჰქონდეს დასმულ კითხვას და მიმართა თამარ ტალიაშვილს, რომ ეს მას საერთოდ არ ეხება.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბიბლითეკებში მკითხველი დასაბრუნებელია, რეფორმა და მოდერნიზაცია აუცილებელია. რაც შეეხება წარსულს, ამ მიმართულებით შეიძლება ცუდი ის იყო, რომ შემცირდა ბიბლიოთეკები, თუმცა კარგი იყო, რომ გაკეთდა მედიათეკები. დღეის მდოგომარეობით, ამ მიმართულებით მიმდინარეობს კვლევა, კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იყო კონცეფცია და თუ ვინმეს აქვს რაიმე დანაკლისი კონცეფტუალურ დონეზე ან უკეთესი იდეა, შესაძლებელია ამაზე ერთობლივი მსჯელობა, რათა შეიქმნას ისეთი ბიბლიოთეკები, რომ კმაყოფილი იყოს მკითხველიც და ბიბლიოთეკაში დასაქმებული ადამიანებიც. რაც შეეხება ბიბლიოთეკების გაყიდვას, განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით „არც ერთი თეთრი არ გავა ბიბლიოთეკების სისტემიდან".

სოფიო ხუნწარიამ განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე დეტალურად იყო წარდგენილი თუ რა იგეგმება ბიბლიოთეკების რეფორმის ფარგლებში, იყო კონცეფცია, ჩამონათვალი, თუ რატომ

გახდა ზოგადად, რეფორმა საჭირო და როგორი ბიბლიოთეკები უნდა მივიღოთ, შესაბამისად, გაუგებარია შეფასება, თითქოს კონცეფცია არ იყო წარმოდგენილი. დაახლობით 2-2.5 თვეში გამოცხადდება კონკურსი პროექტებთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება თითოეული ბიბლიოთეკა. რაც შეეხება განხილვებს, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკარებს თავად შეხვდა ორჯერ და მათ პირველებმა შეიტყვეს, თუ რა ეტაპებს გაივლის ბიბლიოთეკა იმისთვის, რომ იყოს მულტიმედიური, მოდერნიზებული და სრულად გამართული. აღსანიშნავია, რომ ორი ბიბლიოთეკარის გარდა, მათ შორის უხუცესები, მხარს უჭერენ მიმდინარე პროცესებს და ამბობენ, რომ არათუ დროული, არამედ დაგვიანებულიც არის ეს პროცესი. ასევე, ჰქონდა შეხვედრები მწერლებთან, გამომცემლებთან. პროცესში აქტიურადაა ჩართული ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც მხარს უჭერს ამ წამოწყებას, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის მოდელების გაზიარებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, თუ როგორი უნდა იყოს უფრო გამართული საბიბლიოთეკო სისტემა. სოფიო ხუნწარიას თქმით, ამ ეტაპზე კვლევის საგანია, თუ რამდენი ბიბლიოთეკა დარჩება რეორგანიზაციის შემდეგ, რადგან თბილისის ათივე რაიონში მიმდინარეობს მოსახლეობის გამოკითხვა, თუ როგორი ბიბლიოთეკების არსებობის სურვილი აქვთ, ასევე მნიშვნელოვანია ლოკაციების განსაზღვრა იმისთვის, რომ მოხდეს ბიბლიოთეკების სისტემის სწორი განშლა. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ჩასატარებელია კვლევა, თუ რამდენად ვარგისია შენობა იმისთვის, რომ ადამიანების უსაფრთხოება იყოს დაცული. სოფი ხუნწარიას თქმით, დღეს არსებული ფორმით ბიბლიოთეკების ფუნქციონირება „სირცხვილია ქალაქისთვის" და „ჩვენ, მგონი წიგნთან მებრძოლებს არ ვგავართ, პირიქით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს სისტემა იყოს ჯანსაღი". ბიბლიოთეკებში უნდა იყოს მრავალფეროვანი სერვისი იმისთვის, რომ მოვიზიდოთ მკითხველი, კერძოდ, აუცილებელია ელექტრონული წიგნები, სხვადასხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან წვდომა, სამუშაო სივრცეები და სხვა. ბიბლიოთეკების ფართებიდან გამომდინარე, ზოგან შესაძლებელია იყოს ტრადიციული ბიბლიოთეკა, ზოგან გაკეთდეს ლიტერატურული კაფე, საბავშვო სივრცე და ა.შ. რაც შეეხება ბიბლიოთეკების გაყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციას, განაცხადა, რომ არასწორია, რადგან, ამ ეტაპზე დასახელებული ოთხი შენობის გარდა, დარჩება ყველა ის ბიბლიოთეკა, რომლების ინფრასტრუქტურაც იძლევა ამის საშუალებას და ჩამოთვალა რამდენიმე ასეთი ბიბლიოთეკა. გორგასლის ქუჩაზე არსებულ ბიბლიოთეკაზე აღნიშნა, რომ ეს ბიბლიოთეკა გადადის ფონიჭალაში, მრავალფუნქციურ სივრცეში, სადაც ბიბლიოთეკა საერთოდ არ ყოფილა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ სამას არაგველთან, გამწვანებული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშენდეს ახალი ტიპის ბიბლიოთეკა, ხოლო გორგასლის ქუჩაზე იქნება მერიის სერვისცენტრი, სადაც აუცილებლად დარჩება „პრესის კუთხე", სადაც მოქალაქეები, ყოველდღიურ რეჟიმში, შეძლებენ წაიკითხონ მათთვის საინტერესო გაზეთები. სოფიო ხუნწარიამ კითხვაზე - შემცირდება თუ არა ბიბლიოთეკებში საშტატო ერთეული, აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომელი, ადამიანები, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს წიგნი, როსთვისაც დიდ მადლობას იმსახურებენ და სანამ ამ ადამიანების აყვანა არ მოხდება ახალ ა(ა)იპ-ში, მანამდე არ მოხდება კულტურის სამინისტროს სსიპ-ს ლიკვიდაცია. ამასთანავე, ეს ადამიანები ჯერ გაივლიან 1-1.5 თვიან გადამზადებას, რის შემდეგაც გაივლიან ტესტირებას და რამდენი ადამიანიც გადალახავს ბარიერს, იმდენი ადამიანი იქნება შტატში აყვანილი და შენარჩუნებული. ხოლო უხუცესებისთვის, რომლებსაც ვერ დავუკარგავთ ღვაწლს, მოფიქრებულია „წიგნის საპატიო მცველის სტატუსი" და მიუხედავად იმისა, გავლენ თუ არა ისინი გამოცდაზე, აუცილებლად დასაქმდებიან ბიბლიოთეკაში.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, ისევ რჩება იმ აზრზრე, რომ არის არა პროგრამა, არამედ პროგრამაზე ფიქრი, რადგან ყველა რეფორმას უნდა ჰქონდეს დასაწყისი და დასასრული, საჭირო ბიუჯეტით, გაწერილი უნდა იყოს დროში და ისურვა, რომ უახლოეს მომავალში ეს ვიხილოთ დროში და თუნდაც პირველად ბიუჯეტში, რადგან ვიცოდეთ, თუ როდის ექნება ქალაქს ისეთი ბიბლიოთეკები, რომლებიც ჩანს წარმოდგენილი პრეზენტაციით.

სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ მაისი ბოლოს დასრულდება რეორგანიზაციის პროცესი, შემდეგ ეტაპზე მოხდება თითოეული შენობის პროექტირება, მართალია ყველა შენობის რემონტი და ე.წ. გადაფუთვა წელსვე ვერ დასრულდება, თუმცა დაიწყება. რაც შეეხება ბიუჯეტს, მედიათეკებისა და ბიბლიოთეკების ბიუჯეტები ერთიანდება და საუბარია დაახლოებით სამ მილიონ ლარზე, რომლის ზღვარი არ გაიზრდება და გადანაწილდება ერთიან სისტემაში, ხოლო მომავალ წლისთვის უფრო დეტალური და ახალ გამოწვევებზე გაწერილი ბიუჯეტი იქნება წარმოდგენილი.

მარინა დათუკიშვილის თქმით, კითხვებს იწვევს სწორედ ის ფაქტი, რომ დაანონსებულია გრანდიოზული რეფორმა, თუმცა მხოლოდ ეხლა იწყება თბილისის ათივე რაიონში კვლევა, რომელიც იმდენად შრომატევადია, რომ შეიძლება არც ეყოს ორთვენახევარი და არ ვიცით რა შედეგებს მოგცემს ეს კვლევა - რისი გაკეთების და სტრუქტურულად როგორი დალაგების შესაძლებლობა იქნება. ასევე, საინტერესოა ვინ და რა კვალიფიკაციის ადამიანები ატარებენ კვლევას და იქიდან გამომდინარე, რომ ბიბლიოთეკარები არ არიან არც მწერლები და არც ანალიტიკოსები, ისინი არაინ გზამკვლევები, რომ მიგვიყვანონ წიგნამდე, ვის აქვს იმის კომპეტენცია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ეს ადამიანები უნდა მუშაობდნენ თუ არა მომავალი თაობების „გზამკვლევად წიგნამდე“.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების გავლის შემდეგ ტესტირება შინაარსობრივად არის ატესტაცია და დაიტერესდა რატომ ჰქვია ამას გამოცდა და რატომ არ შეიძლება ბიბლიოთეკაში დასაქმებულმა ადამიანებმა გაიარონ ატესტაცია და ისე განაგძონ მუშაობა; ასევე, საინტერესოა რამდენიმე საკითხი: რა სახის კვლევები ტარდება და თუ კვლევებმა არ დადო რეფორმის შესაბამისი შედეგი, როგორ შეიცვლება დღეს არსებული მიდგომა; იმ შენობებში, რომლებშიც გადაწყვეტილია რეაბილიტაციის ჩატარება განთავსდება თუ არა ისევ ბიბლიოთეკები; ბიბლიოთეკებში დღეს არსებული მძიმე ინფრასტრუქტურული ვითარება იძლევა თუ არა იმის საშუალებას, რომ შემცირდეს ბიბლიოთეკები და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობა იყოს კიდევ უფრო ნაკლები. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა გორგასლის ქუჩაზე არსებულ ბიბლიოთეკაზე და აღნიშნა, რომ მის გადატანას ფონიჭალაში მოსახლეობისთვის ძალინ ცუდი შედეგი მოჰყვება, რადგან ის არის ერთადერთი ბიბლიოთეკა კრწანისის რაიონში, რომელიც ემსახურება ხუთ საჯარო და რამდენიმე კერძო სკოლას, ხოლო გამგეობას აქვს შესაძლებლობა, რომ მოქალაქეთა მისაღები მოაწყოს სხვა ფართში. მისი თქმით, მოსახლეობის თხოვნაა, არ დაიხუროს კრწანისის რაიონში არსებული ერთადერთი ბიბლიოთეკა და ამასთან დაკავშირებით უკვე შეგროვდა ხელმოწერების დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, სამას არაგველთან არსებული ტერიტორია მიუდგომელია ცალმხრივი მოძრაობის გამო და თუნდაც ახალი ბიბლიოთეკის გახსნამდე, რატომ არ შეიძლება მისი დატოვება დღეს არსებულ შენობაში. ასევე, მოსახლეობის სურვილია, რომ ბიბლიოთეკების მომსახურება არ გახდეს სრულად ფასიანი, დარჩეს ტრადიციული ბიბლიოთეკები და გარკვეულ სეგმენტში განთავსდეს მედიათეკების ნაწილი. იქიდან გამომდინარე, რომ წელს ვერ მოხერხდება დაფინანსების გაზრდა, დაინტერესდა ეყოფა თუ არა არსებული სახსრები დაგეგმილი რეფორმის განხორციელებას.

სოფიო ხუნწარიამ კვლევასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ ზოგადად, ბაზრის კვლევა ტარდება ტენდერის გამოცხადებამდე და ასეთი ტიპის კვლევა უკვე ჩატარებულია, ხოლო შემდგომ კვლევას ჩაატარებს ტენდერში გამაჯვებული კომპანია. რაც შეეხება იმას, როგორ შეიცვლება დღეს არსებული მიდგომა იმ შემთხვევაში, თუ კვლევებმა აჩვენა განსხვავებული შედეგი, განაცხადა, რომ წარმოდგენილი არ არის რეფორმის დეტალები, საუბარია მოსახლეობის გამოკითხვაზე, თუ როგორი ტიპის ბიბლიოთეკები ურჩევნია, რომ სერვისები მაქსიმალურად იყოს მორგებული მათ სურვილებზე. რაც შეეხება კვლევაში მონაწილეთა კვალიფიკაციას, ალბათ არავინ დაობს იმაზე, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას ნამდვილად გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, პროცესში ასევე ჩართულია საბიბლიოთეკო ასოციაცია, რომელიც წლებია მუშაობს ამ მიმართულებით. რაც შეეხება ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის გამოცდის ჩატარებას, აღნიშნა, რომ ისინი გაივლიან

ტესტირებას. ხოლო რაც შეეხება მწერლებს და გამომცემლებს, ზოგადად, საინტერესოა მათი აზრი, თუ რას ფიქრობენ საბიბლიოთეკო რეფორმასთან დაკავშირებით. კრწანისში არსებულ ბიბლიოთეკაზე კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სამას არაგველთან არსებული ტერიტორია, ერთი კონკრეტული კორპუსის ქვეშ განთავსებულ სივრცეზე ბევრად საინტერესო ლოკაციაა, სადაც შეგვიძლია ავიღოთ მედიათეკის პრინციპით აგებული მსუბუქი კონსტრუქცია და მოვაწყოთ სხვადასხვა საინტერესო სივრცეები. რაც შეეხება მიდგომას, რომ ბიბლიოთეკები სრულად ფასიანი გახდება, არასწორია - ბუნებრივია გარკვეული სერვისები იქნება ფასიანი, რადგან ბიბლითეკებს უნდა გაუჩნდეს საკუთარი შემოსავალი, მაგრამ უმთავრესი ნაწილი იქნება უფასო. აღსანიშნავია ასევე, სამწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც წელს ქალაქში გაჩნდება ორი მულტიფუნქციური შენობა-ნაგებობა, სადაც იქნება საბიბლიოთეკო სივრცე, ხოლო სამომავლოდ, ეტაპობრივად, დაგეგმილია თბილისის ყველა რაიონში მსგავსი სივრცეების და ასევე, მინი მედიათეკების მოწყობა.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან საკითხი, რომელიც ეხება წიგნიერებას და ცოდნას, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ თბილისში იყოს XXI საუკუნის შესაფერისი ბიბლიოთეკები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოიწვია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ორი საქალაქო სამსახურის გაერთიანებამ, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. საკითხი განხილულია საკრებულოს შესაბამისი კომისიების სხდომებზე და მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე, სადაც გამოთქმული იქნა შენიშვნა-რეკომენდაციები, რომლებსაც დაეთანხმნენ საკითხის წარმდგენები.

ლილე ლიპარტელიანმა გაიხსენა საკრებულოს წინა სხდომაზე განხილული სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების საკითხი და დაინტერესდა, თუკი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ იქნება საკმარისი ყველა სტუდენტის დასაფინანსებლად, რა ღონისძიებებს მიმართავს სამსახური და ასევე, აქვს თუ არა აზრი სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსებას 30%-ით, თუ ის ვერ შეძლებს დანარჩენი 70%-ის გადახდას.

ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ დაფინანსება ხორციელდება მოქმედი წესის ფარგლებში, ხოლო კონკრეტულ დაშვებებზე საუბარი გაუჭირდება, თუმცა ამ მიმართულებით არსებული თანხა გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებთან კომუნიკაციის და ჩატარებული კვლევის შედეგად. რაც შეეხება 30%-იან დაფინანსებას, განმარტა, რომ 30% უფინანსდებათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ 70%-იანი გრანტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი: 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოიწვია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ორი საქალაქო სამსახურის გაერთიანებამ, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა განათლებისა და კულტურის კომისიამ, სადაც გამოთქმული იქნა ტექნიკური ხასიათის შენიშვნა-რეკომენდაციები, რომლებსაც დაეთანხმნენ საკითხის წარმდგენები. აქვე აღნიშნა, რომ ამ წესის შესაბამისად, 2015-2017 წლებში, დაფინანსება მიიღო 6946-მა სტუდენტმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცილურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით იცვლება პროგრამის ადმინისტრირება, კერძოდ, გადადის ელექტრონულ მოდულზე, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო პროცედურებს.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მხარს უჭერს პროექტს, რადგან წარმოდგენილია დადებითი ცვლილებები, რომლებიც მოსახლეობას გაუმარტივებს დაფინანსებისთვის საჭირო პროცედურების გავლას.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ვინაიდან წესსა და დებულებაში მითითებული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, საჭიროა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებოსილ სუბიექტად განისაზღვროს არა კომისია, არამედ საქალაქო სამსახური. აქედან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ წარმოდგენილ პროექტში, სადაც მითითებულია „კომისიის გადაწყვეტილება" შეიცვალოს და მიეთითოს „კომისიის რეკომენდაცია", ხოლო სადაც

გადაწყვეტილებაზეა საუბარი, უნდა მიეთითოს საქალაქო სამსახური. ასევე აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე, სამსახურის მხრიდანაც იქნა წარმოდგენილი რამდენიმე ცვლილება, რომლებსაც დაეთანხმა კომისია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ მოხდა „c ჰეპატიტის“ დიაგნოსტიკის გაიაფება 10 ლარით და შესაბამისად, საჭიროა ამის ასახვა წესით დამტკიცებულ ფასებში. ასევე, სკრინინგის დაფინანსების ნაწილში დაემატება დევნილები, რომლებიც რეგისტრირებული არიან დევნილთა სამინისტროს მიერ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაცის შედეგად შეიქმნა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, რომლის ფუნქციად განისაზღვრა ძირითადად არქიტექტურის სამსახურიდან გამოტანილი ფუნქციებით და აქედან გამომდინარე, საჭიროა დებულებაში დაზუსტდეს, რომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით უფლებამონაცვლედ განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ამხანაგობისთვის ხორციელდება იმ ვალდებულებით, რომ განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ.N18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი გადაეცემა ამხანაგობას ვალდებულებით, რომ განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 58 ერთეული ფართი, საერთო ჯამში 1080 კვ.მ., გადაეცემა 47 მოქალაქეს, რომლებიც 10-15-20 და მეტი წელია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ იყო შეთანხმება, რომ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროით ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე ფართების დაკანონება აღარ მოხდებოდა მანამ, სანამ არ შემუშავდებოდა წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება აღნიშნული საკითხის დარეგულირება და დაინტერესდა, როდის იქნება შემუშავებული წესი და რატომ გრძელდება პროცესი მის გარეშე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ დღეს წარმოდგენილი ორი საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განხილული იყო საკრებულოს წევრებთან შეთანხმებამდე, რომ წესის შემუშავებამდე აღარ იქნებოდა ინიცირებული აღნიშნული შინაარსის საკითხები. რაც შეეხება წესის შემუშავებას, განაცხადა, რომ პროცესი დაწყებულია, მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამის სამსახურებთან და უახლოეს მომავალში განსახილველად წარედგინება საკრებულოს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წესი მალე უნდა იქნას მიღებული, რადგან პროცესის შეჩერება გამოიწვევს გარკვეულ პრობლემებს.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში უკვე არსებობს გარკვეული პროექტი, რომლის განხილვაც მოხდება შესაბამის სამსახურებთან ერთად და უახლოეს მომავალში მიღებული იქნება წესი.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წესზე მიმდინარეობს მუშაობა, რომლის განხილვაც მოხდება არა მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე, არამედ კომისიურ რეჟიმში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეს მიმდინარე პროცესი არის სავსებით სამართლიანი და სწორი, უნდა მოხდეს პრაქტიკაში განხორციელებული ღონისძიებების გადატანა ფურცელზე, ფორმალურად დახვეწა, სისტემატიზირება და მიეცემა წესის სახე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის“ (ს/ნ.: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საუბარია მარჯანიშვილის მოედანზე არსებული გამწვანებულ ტერიტორიაზე, რომლის მოვლა-პატრონობას, ერთი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს შპს „გარდენია“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 38 პირს გადაეცემა 41 ერთეული ფართი, საერთო ჯამში 937 კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ.: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი

თავართქილაძემ და განმარტა, რომ შპს-ს დღეის მდგომარეობით აქვს ვალდებულება, რომ 2018 წლის 31 აგვისტომდე განახორციელოს ხუთი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რომელიც დაყოფილია წლების და შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით. 2017 წლის ბოლოს შპს-ს ვალდებულება იყო 950000 აშშ დოლარი, ხოლო შესასრულებელი სამუშაო - სპორტული სავარჯიშო დარბაზის მოწყობა, რომელიც, შესაბამისი სტანდარტებით, აშენებულია, თუმცა გაწეული დანახარჯი იყო დაახლოებით 250000 აშშ დოლარი. კომპანიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ აღნიშნული თანხა გადანაწილდეს დარჩენილ ორ წელიწადზე, ხოლო დამატებით აიღებს სპა ტიპის სივრცის მოწყობის ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ არ იცვლება არც ინვესტიციის საერთო თანხა და არც მისი განხორციელების ვადა. აღსანიშნავია, რომ შპს-ს 2016 წელს დაეკისრა პირგასამტეხლო, რაც კომპანიამ გაასაჩივრა და შპს „გუდაური სქი რესორტისთვის" 65000 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ბათილად იქნა ცნობილი. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიასთან დავის გაგრძელება მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს, პროექტით წარმოდგენილია შპს-ს გათავისუფლება ზემოთ აღნიშნული პირგასამტეხლოსგან, იმის სანაცვლოდ რომ კომპანია უარს იტყვის დავის გაგძელებაზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ საკრებულო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას აძლევს თანხმობას დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემცირების და გათავისუფლების თაობაზე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული აუცილებლად უნდა მიეთითოს განკარგულების სათაურში. რაც შეეხება ზოგადად საკითხს, ძალიან საინტერესო პრეცედენტია, როდესაც მუნიციპალიტეტს და ინვესტორს შორის ხდება მორიგება, რადგან ამ დროს იზოგება ის ენერგია, დრო და რესურსი, რომელიც შეიძლება მოხმარდეს ინვესტიციის განხორციელება.

ვლადიმერ ძნელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სახის გადაწყვეტილებების მიღება მისასალმებელია, რადგან ეს გაამარტივებს და დააჩქარებს ინვესტიციების განხორციელებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ საკითხის ინიციატორია შპს „ალფა", რომლის საკუთრებაშიც არის არა მხოლოდ აღნიშნული ტერიტორია, არამედ გზის ირგვლის მდებარე შენობა-ნაგებების უმრავლესობაც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ რადგან დიდუბის რაიონში გაუქმდა შალვა გოგიძის სახელობის ქუჩა და იმისთვის, რომ არ დაიკარგოს მისი ღვაწლი, საბურთალოს რაიონში მოიძებნა ალტერნატიული ქუჩა, რომელსაც შესაძლებელია მიენიჭოს შალვა გოგიძის სახელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი სახელწოდება შეირჩა ტოპონიმური სახელწოდებიდან გამომდინარე, კერძოდ, ფონიჭალა ვახუშტის გეგმით, ისტორიულ წყაროებში, მოიხსენიებოდა როგორც „სოღანლუღი“, რომლის პირვანდელი სახელწოდება იყო „გზისკარი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, ვაკის რაიოში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ ქუჩის სახელდება ხორციელდება მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ ქუჩა არის განაშენიანების პროცესში და იქ ცხოვრობს რამდენიმე ათეული ადამიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ სახელდების გაგრძელება გამოწვეულია შესახვევის კიდევ უფრო განაშენიანებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი სახელდება შეირჩა იქიდან გამომდინარე, რომ ქუჩა მდებარებს მახათას ფერდობზე, ელიას მთის ქედზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ ქუჩის სახელდება ითხოვეს მოქალაქეებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ სახელდება შეირჩა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხელოვნურად გაშენებულია ჭადრების ხეივანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 19 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე